პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 8 სექტემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

ფიფქი ანრიეფი

202 (900) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ეკატერინოგოლოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომ. სტრ.

ცვალეგადელო გულმოდგინეთ მოეკიდე სამხედრო-პოლიტიკურ სწავლას.

ამხანაგო ცვალებადელო! სულ ერთი თვით გამოგიწვიეს შენ ტერშეკრებაზე. ამ ხნის განმავლობაში შენ უნდა განვლო სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობის განსაზღვრული კურსი.

ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ, რათა ყოველივე მშრომელმა კარგად იცოდეს იარაღის ხმარება და საფრთხის დროს შეეძლოს მუშურ-გლეხური ხელისუფლების ღირსეულად დაცვა.

აი ამიტომ ე. ი. სამხედრო საქმის შეს სწავლად გაგიწვიეს შენ ტერშეკრებაზე. ერთი თვე ძლიერ პატარა დროა. გასაკეთებელი კი ამ მოკლე ხნის განმავლობაში ბევრი გაქვს, რომ მართლადაც გახდე, და ეს აუცილებელია, კარგი მეომარი, საჭიროა გულმოდგინეთ და ენერგიულად მოკიდო ხელი სამხედრო და პოლიტიკურ სწავლას.

დაუღალავი, მუყაითი მეცადინეობით შენ ბევრის გაკეთებას მოასწრებ ამ ერთ თვეში.

თუ იზრამაცებ, გულ გრილად მოეკიდები თავის ვალდებულებებს, მაშინ ვერაფერს ვერ მიაღწევ. ვერც კარგი მეომარი იქნები, ტყუილად დროს გაალცდენ და სახელმწიფოსაც ზარალს მოუტან.

ნუ დაგავიწყდება, რომ შენი ერთი თვით გაწვევა წითელ ყაზარმაში დიდი ფული ჯდება.

შენი ჩაცმა, შენი გამოკვება, დაბოლოოს ის რომ შენ მოწყეტილი ხარ შრომას—ყოველივე ეს საგრძნობ ხარჯებად აწვება მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს. შენი გაწვევა კი საჭირო, ვინაიდან როგორც ზევით ვსთქვით, მუდამ მზად უნდა ვიყოთ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს დასაცავად მტრის მოსალოდნელი თავდასხმისაგან. ყოველივე ამის გამო, ამხანაგო ცვალებადელო, საჭიროა მხნედ შეუდგე სამხედრო სწავლას, გააფართოვო შენი პოლიტიკური ცოდნა და საკუთარი გამართლო ის იმედები, რომელიც შენზე ამყარეს მუშურ-გლეხური ხელისუფლება. არც ერთი წუთი ტყუილ-უბრალოდ არ უნდა იქმნას გაცდენილი. მთელი შენი გულისყური, მთელი შენი გონება და აზრი უნდა იქმნას მიპყრობილი სამხედრო სწავლისაკენ.

რაც შეიძლება მეტი სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა შეიძინო, რაც შეიძლება, მეტად ავსწიო ჩემი სამშობლო უნარი—აი რა უნდა გახსოვდეს მუდამ წითელ ყაზარმაში.

ისწავლე ბეჯითად, განამტკიცე დისციპლინა, რაც შეიძლება მეტის ნაყოფიერობით გამოიყენე ერთი თვე.

მოკლე ვადიანი კურსები.

თანახმად „პრავდის“ განკარგულებისა, ყველა ნაწილებში ეწყობა 12 სექტემბრიდან სამი სხვა და სხვა სახის კურსები, კოოპერაციის, საადმინისტრაციო და საბჭოთა მშენებლობის შესასწავლად. აღნიშნულ კურსებისათვის ნაწილმა უნდა გამოყოს ის წ.-არმიელები, რომლებიც გრძელ ვადიან შვებულებაში უნდა იქნენ გაშვებული.

ყველა წ.-მოლაშქრე, რომელიც მიღის ნაწილიდან, ირჩევს ამა თუ იმ დარგს და ეწერება შიგ. ჯგუფის წევრებმა დღეში უნდა იმეცადინონ ექვსი საათი, ამავე დროს ისინი დანარჩენ მუშაობიდან განთავისუფლებული არიან. მართალია, ეს კურსები ხანგრძლივად არ გასტანს, მაგრამ თუთხმეტი დღის განმავლობაში წ.-არმიელი მაინც ბევრს რაღაც შეიძენს ამ კურსებიდან, რომელიც მას გამოადგება, როგორც პირად ცხოვრებისათვის, ისე საზოგადოებრივ მუშაობისათვის. ამისათვის ნაწილებმა დროზედ უნდა მოამზადონ სათანადო პირობები, რომ დაგვიანებულათ არ მოხდეს მათი მუშაობის დაწყება. ამ საქმეში ლექტორები უნდა გამოყონ იმ სპეციალურმა ორგანოებმა, რომლებიც უშვალოდ ხელმძღვანელობენ განათლების საქმეს. აქ შეიძლება დაბრკოლება გადაგვეღობოს წინ სათანადო ლექტორების უყოლობის სახით. ამ შემთხვევაში, ადგილობრივი პარტიული ორგანოვალდებულია სათანადო დახმარება აღმოუჩინოს ნაწილის ხელმძღვანელს სათანადო ლექტორების შერჩევით. მხოლოდ აქ საჭიროა დროზედ მოლაპარაკება, როგორც პარტიულ ორგანოსთან, აგრეთვე იმათთანაც, რომლებიც განსაკუთრებით ხელმძღვანელობენ ამ საქმეს.

ნაწილები მოკლე ხანში დაბრუნდებიან საზამთრო ბინებზედ. დაბრუნებისათანავე უნდა იქნეს გამოყოფილი ჯგუფები, და მასთან სპეციალურ ბინები წინასწარ უნდა იქნეს დამზადებული, და აგრეთვე საჭირო სახელმძღვანელოებიც წინასწარ უნდა მოამზადეს, თორემ ერთბაშათ ყველაფერს ერთ ან ორ დღეს ვერ მოვაგვარებთ და საქმე დაგვიანდება. ამიტომ ეხლავე საზამთრო ბინებში დარჩენილმა და ახლად მოსულმა ამხანაგებმა უნდა იზრუნონ ამ საქმეზედ და ყველა რაც კი საჭიროა კურსებისათვის დროულათ მოამზადონ.

ს. ლომიძე.

ახალი რადიო-ამბები

სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ.

გერმანიის გაერთიანებულ პროფკავშირთა ყრილობა.

ბრესლავში შემდგარმა გერმანიის გაერთიანებულ პროფკავშირთა ყრილობამ უარი სთქვა საბჭოთა კავშირში მყოფ გერმანელ მუშათა დელეგაციის მოხსენებების მოსმენაზე.

ამას შემდეგ თავის პროფესორების ხელმძღვანელობით მოსულმა მემარცხენე სტუდენტებმა სთხოვეს ამხ. ფრეიბერგერს, შტაუდტს და ლიუდიხს გაეკეთებინათ მათვის მოხსენება საბჭოთა კავშირის შესახებ.

თავისუფალი მუსაიფი გაგრძელდა რამოდენიმე საათი, რის შემდეგ სტუდენტებმა სურვილი გამოსთქვეს საბჭოთა კავშირში სტუდენტურ დელეგაციის გაგზავნის შესახებ. სალომოს დელეგაციის წევრებმა ბრესლაველ მუშების დიდ ჯგუფებს უამბეს ის, რაც მათ ნახეს საბჭოთა კავშირში და იგრძნეს იქ.

ფრეიბერგერმა შემდეგი სიტყვებით დაასრულა თავისი მიმართვა: „მუშებო, ჩვენ რა მოგიტანეთ თქვენ რუსეთიდან? მუშებო, აღიჭურვეთ ახალ იმედით“. ამ განცხადებამ დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია მსმენელ მუშებში.

ქალთა პროფკავშირთა დელეგაციის ანგარიში.

ქალთა პროფკავშირების დელეგაციის ანგარიში, რომელმაც ამა წინეთ ინახულეს საბჭოთა კავშირი, წარმოადგენს ას გვერდიან, დართულს ლამაზ სურათებით, წიგნს. ანგარიში შემდეგ დასკვნებს უკეთებს წასულს:

„ქალაქის მუშათა დიდი უმეტესობა და გლეხთა კულტურული წრეები მხურვალეთ ენდობიან საბჭოთა ხელისუფლებას, რადგან გრძნობენ, ეს დიკტატურა კი არაა მცირე პოლიტიკურ ჯგუფის, არამედ დიკტატურაა მუშა და გლეხობისა. ისინი რუსეთის კომუნისტურ პარტიას უყურებენ, როგორც ხელმძღვანელს და დიდი სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობიან მას.

დიდი ულწრფელი ექსპერიმენტი (ცდა), რომელიც ტარდება რუსეთში, ღირსია ინტერესისა, თანაგრძნობისა და დახმარებისა ყველა ქვეყნის მუშების მხრივ. ამ ცდამ უკვე მისცა უდიდესი ეკონომიური სარგებლობა საბჭოთა კავშირის მშრომელ მოსახლეობას. ეს სარგებლობანი ხანგრძლივი იქნებიან და გაფართოვდებიან მოსახლეობის ფართო მასებზე ქვეყნის ეკონომიურ გაუმჯობესებასთან ერთად მაშინ, როდესაც მოდენაც მოისპობიან იმ უბედურებათა შედეგები, რომელიც რუსეთის მოსახლეობას მსოფლიო იმპერიალიზმმა, კაპიტალიზმმა და მეფის რეჟიმმა“.

ინგლისის პრესა პროფკავშირების ქალთა დელეგაციის ანგარიშების გამო.

გაზეთების დიდი ნაწილი ათავსებენ ცნობებს „პროფკავშირების ქალთა დელეგაციის ანგარიშებიდან რომელებმაც ინახულეს საბჭოთა კავშირი“, სხვა და სხვა გვარი განმარტებებით.

ბურჟუაზიული გაზეთი „მორნინგ პოსტი“ ამბობს: „როგორც საბჭოთა ქვეყნის სტუმრები, დელეგაცია იძულებული იყო ექმა თავის ანგარიშებში საბჭოთა კავშირის ეკონომიური პირობები. არაფერი არ არის გასაკვირი იმაში, რომ ინგლისის დელეგატების შეკითხვაზე, კმაყოფილი და ბედნიერი არიან თუ არა რუსეთის მუშები, უკანასკნელებმა უპასუხეს დადებითად, რადგან არც ერთ რუსის მუშას ან მუშა ქალს არ სურს მოხვდეს საგანგებო კომისიის საწამებელ საკანში. ლიბერალური გაზ, „დეილ ნი რი“ ამბობს: თავისი უკიდურესი თავხედობით ანგარიშებმა აიღეს პირველობა.

ომი მაროკოში.

დიდი შეტაკება.

ინგლისურ გაზეთ „ტაიმსის“ ცნობით, მაროკოში ქ. ტეტუანთან თავს იყრის მრავალ რიცხოვანი ჯარი ტომებისაგან შემდგარი.

4 სექტემბერს ისპანელებს და დეებალთა ტომების აჯანყებულთა შორის ფოხდატის ახლოს მოხდა დიდი შეტაკება, რომელშიაც ორივე მხარემ დიდი დანაკლისი ჰპოვეს.

ესპანეთის დიქტატორი პრიმადერი ვიერარიფეზთანბრძოლის შესახებ.

პრიმადერივიერამ განაცხადა, რომ ბრძოლა რიფებთან ძლიერ ძნელი შეიქმნა, რადგან რიფებს კარგად მოწყობილი და ჩინებულ დისციპლინის მქონე არმია ყავთო. რივიერას სიტყვით რიფების ჯარის სარდლობას კარგად მიეყავს სამხედრო მოქმედებები გარკვეულ კარგად შემუშავებულ გეგმის მიხედვით.

პუანკარე და აბდელ-ქერიმი.

პუანკარე არ უარყოფს „მატენის“ კორესპონდენტის მიერ გამოქვეყნებულ აბდელ-ქერიმის ძმის განცხადებას, მხოლოდ აღნიშნავს რომ „ზედმიწევნით არ ახსოვს“ ამ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები. ის აცხადებს, რომ აბდელ-ქერიმის წარმომადგენლებს კიდეც რომ ეთხოვათ მასთან მოლაპარაკება, ის არ მიიღებდა მათ, რადგან ეს იქნებოდა მათი რწმუნებულების ოფიციალურად ცნობის თანაბარი, რაც არა ლოიალური იქნებოდა ისპანიის მიმართ. შემდეგ პუანკარე სრულ თანხმობას აცხადებს ლიოტეს მოქმედებაზე და ამავე დროს იწუნებს პენლევეს მოქმედებას, რომელიც დიდ დათმობაზე მიდის აბდელ-ქერიმთან.

თავის მხრით პენლევე უარს ამბობს განმარტების მიცემაზე თავის პოლიტიკის შესახებ აბდელ-ქერიმის მიმართ და ძველებურად იმეორებს, რომ დამოუკიდებლობის მინიჭება რიფებისათვის—ჩვენთვის მიუღებელი არისო, რადგან ის ეწინააღმდეგება შესაფერის საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲛᲝᲜᲛᲣᲡᲝᲡ ᲡᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲪᲔᲜ.



მონმუსო.

როგორცა გაზეთ „ვი უვრიერის“ რედაქტორი, შრომის უნიტარულ კონფედერაციის მდივანი, მონმუსსო მისცენ სასამართლოში იმ წერილის გამოქვეყნებისათვის, რომელიც ფრანგ ჯარისკაცებს მოუწოდებდა რიფუბთან ძმობილობისაკენ.

ინგლისის მუშათა პარტიის დელეგაცია ბულგარეთში.

ქ. სოფიაში (ბულგარეთის დედა ქალაქი) ჩავიდა ინგლისის მუშათა პარტიის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: დეპუტატი ვოლკინსონი, პარტიის ქალთა სექციის მდივანი ფილიპსი და პარტიული მომუშ აავე ნესტი.

დელეგაციის მიზანია—გამოარკვიოს მუშათა მოძრაობის მდგომარეობა ბულგარეთში. დელეგატებმა ინახულეს ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მდივანი ნეიბოკი, აგრეთვე ინახულენ რეფორმისტულ პროფკავშირის და პარტიის ქალთა სექციის მდივნები.

ოფიციალურ გაზეთ „მორის“ ცნობით, რადგან დელეგაციამ დიდი ფული ჩამოიტანა თეთრი ტერორის მსხვერპლთა დასახმარებლად, მათ პოლიცია დიდ თვალყურს ადევნებს.

პოლიციელებმა წინადადება შეიტანეს საგარეო საქმეთა სამინისტროში დელეგაციის გაძევების შესახებ, მაგრამ ინგლისის საელჩოს ამ საქმეში ჩარევის გამო, ეს წინა დადება არ იქმნა მიღებული. დელეგაცია შეეცადა, პრაღათ გამოეთქვა პროტესტი მთავრობის წევრთათვის, მაგრამ მათ მიერ არ იქმნენ მიღებული. ს. დემოკრატიული ლიდერებმა ნეიკოვმა და პასტუხოვმა დელეგაციას მიმართენ, გადაეცათ ის ფული, რომელიც დელეგაციამ ჩამოიტანა დახმარებისათვის, ბულგარეთის მოქალაქეთა კომიტეტს, რომელიც პოლიტიკურ სახეს არ ატარებს, მაგრამ დელეგაციამ უარი სთქვა ამაზე და განაცხადა, რომ, მიუხედავად პოლიციის დევნისა, ის თვითონ გაანაწილებს ამ ფულს.

ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია.

7 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვა ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია 5 კაცის შემადგენლობით—რომლებიც არიან მუშათა პარტიის ფრაქციის წევრები ინგლისის პარლამენტში

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: ბოლგად (დელეგაციის თავმჯდომარე), დამოუკიდებელი მუშათა პარტიის აღმასკომის წევრი; მადეჯონს, მუშა-მემაღარეე სამხრეთ-უელსის; ტელს—მოჯამაგირე; კოლ—ტეხნიკი, ექსპერტი მუშათა ფრაქციის ეკონომიურ საკითხებში; კოოპ—„ხელი შორს საბჭოთა რუსეთიდან“ კომიტეტის მდივანი.

საფრანგეთი.

საფრანგეთის რეფორმისტული პროფკავშირების წერილი ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს.

საფრანგეთის 29 რეფორმისტულ პროფკავშირებმა ინგლისის ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს მიმართეს წერილით, რომელშიც ულოცავენ პერსელს გამარჯვებას საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის მიღწევის საქმეში.

წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული საფრანგეთის მუშების მხურვალე მისწრაფება გაერთიანებისაკენ და წინადადება ეძლევა ინგლისის პროფკავშირებს დახმარება გაუწიონ საყოველთაო შრომის უნიტარულ კონფერენციის გაერთიანებას.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ.

საბჭოთა მფრინავების საპატივსაცემო ბანკეტი.

ტოკიოში საბჭოთა მფრინავებს გაუმართეს გრანდიოზული ბანკეტი, რომელიც მოწყობილი იქნა ყველა გაზეთებისა და დეპეშათა სააგენტოებისაგან.

ბანკეტს დაესწრენ იაპონიის საზოგადოების 200 გამოჩენილი წარმომადგენლები, მათ რიცხვში იაპონიის საავიაციო საზოგადოების თავმჯდომარე გენერალ ლეიტენანტი ნაგაოკა ვკონტგოტო ᲦᲐ საბჭოთა საელჩოს წევრები.

იაპონიის უხუცეს პუბლიცისტმა, გაზეთ „კოკუმინის“ რედაქტორმა—ტოკუტომიმ მიულოცა რა საბჭოთა მფრინავებს, ხაზი გაუსვა იაპონიის ხალხის გულწრფელ მეგობრულ გრძნობებს საბჭოთა კავშირისადმი.

სხვა ორატორები, რომლებიც ესალმებოდენ საბჭოთა მფრინავებს აღნიშნავდენ, რომ ჯერ არ ახსოვს ტოკიოს პრესას, რომ ასე გულწრფელად გაერთიანებულიყვენ უცხოელ მფრინავების შესახვედრად.

ტერ შეკრება.

დაიწყო ტერ შეკრება. სოფლებიდან ჩამოდიან ერთ დროს ჯარში ნამსახური გლეხები. მოსლეისთანავე კითხულობენ, თუ რა არის ახალი წითელ ჯარში, რაზედაც დამაკმაყოფილებელ პასუხს ღებულობენ უფპოლიტშემადგენლებისაგან. მუშობა ფართოვდება და შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ამ წლის პირველი ტერ შეკრება რიგიანად და უშეცდომოთ იქნება ჩატარებული. თუ რაიმე უმნიშვნელო გაუგებრობას ექნება ადგილი, ასეთი მუშობის პროცესში იქნება გამოსწორებული, ტერ შეკრების საერთო გეგმის დაურღვეველად.

მუშობის დროს რომ შეცდომებს არ ქონდეს ადგილი, ამისთვის საჭიროა წინასწარ თვით „გაერკვე: რისთვის **ტარდება ტერ შეკრება და რა უნდა მიცეს მან ცვალებადელს?**

უფპოლიტშემადგენლობის და ტერარმიელების უმრავლესობამ იციან, რომ ტერშეკრება ხდება იმისათვის, რომ ამ შეკრების შემწეობით მოახდინონ მოქალაქეთ გასამხედროება, რომ ვინიცობაა, თუ ომი დაიწყო ესენი უნდა გავიდენ საბჭოთა კავშირის დასაცავად. ეს მოსახლეობის უმრავლესობამ იცის. მაგრამ, რაც შეეხება მეორე საკითხს, თუ რა უნდა მისცეს შეკრებამ ცვალებადელს, ამაზე ყველას არ შეუძლია გასცეს დადებითი პასუხი და ეს საკითხი ამ ჟამად საეჭვობორატო საკითხია.

მეცადინეობის გეგმის მიხედვით ტერშეკრებაზე ცვალებადელთ უნდა შეასწავლონ, თუ როგორ უნდა იმუშავონ მთ ბრძოლის დროს ათეულის, ოცეულის, ასეულის, ათასეულის და ლეგიონის მაშტაბით. როგორც სამეცადინო გეგმიდან სჩანს, ტერშეკრებაზე მოსცლის პირველ დღიდან ცვალებადელმა უნდა შეისწავლოს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ის ბრძოლის, ლაშქრობის, დასვენების, დაზვერვის და თავდაცვის დროს. ეს ასეც უნდა იყოს, რომ წითელ ჯარში, ტერშეკრებაზე მოსულ ცვალებადელის იქ არ ყოფნის დროს, არ მომხდაიყო ორგანიზაციის და შეიარაღების ცვლილებები. ამის გამო მეცადინეობის საკითხი ცოტათი გართულდა; ამიტომ განყოფილების, ოცეულის და ასეულის შექმნამდე, ცვალებადელი უნდა გაეცნოს იმ იარაღებს, რომლითაც შეიარაღებულია ეს ნაწილები

რასაკვირველია, ეს გაცნობა უნდა გამოიხატებოდეს არა მარტო მისი ნაწილების შესწავლაში, არამედ, მაგალითად, ის უნდა გაეცნოს კარგათ ტყვიამფრქვევების „მაქსიმა“-ს და „ლიუისს“ ტაქტიკურ თვისებას და ბალისტიკურ ცნობებს.

მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება მეცადინეობის დაწყება ათასეულის და ოცეულის მაშტაბით, სადაც ყოველ ცვალებადელი გაცნობილი იქნება თავის—იარღს, მის მუშობას და მოხმარებას და ეცოდინება რომელ დროს რა იარაღით ამოქმედდეს.

ეს საშვალებას იძლევა ყველა ტაქტიკური მეცადინეობა დაუახლოვოს უფრო სინამდვილეს, რომელშიც შესაძლებელია მოუხდეს ყოფნა ცვალებადელს ომის დროს.

ყოველივე ამას უსათუოდ უნდა დაემატოს შემდეგი: ტერშეკრებაზე მოსულ ცვალებადელები კარგათ არიან გაცნობილნი შიხანა თოფს, ხელით სასროლ ყუმბარებს და აქვთ საერთო წარმოდგენა ტყვიამფრქვევებზე, რაც იძლევა საშუალებას დაჩქარებით იქნეს განმეორებული შაშხანას და ყუმბარების შესწავლა. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ტყვიამფრქვევების შესწავლას ამის შემდეგ იწყება ახალი ტაქტიკის და ქვეითი ჯარის (ჯგუფური) შესწავლა.

ი. ბარ.

ᲐᲮ. Ლ. ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲢᲔᲠᲜᲐᲤᲚᲔᲑᲨᲘ.

ტერ-შეკრება და კომკავშირის ამოცანები.

ის გარემოება, რომ ახ.კომკავშირის საერთაშორისო კვირეულის ჩატარება შეუფარდა საერთო ტერშეკრებას, მრავალ ამოცანებს აყენებს მთელ დივიზიის ახ.კომკავშირის ორგანიზაციის წინაშე. ამ შეკრების დასაწყისში უნდა იქნეს ჩატარებული მთელი ის ორგანიზაციული მუშაობა, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედება შეკრების დროს წარმოებულ მუშაობას. უნდა დამუშავდეს მუშაობის გეგმა, ახალგაზრდა პარტდამხმარე კომკავშირის ჯგუფების შექმნა, აქტივის გამომზღვნება, განაწილება და სხვა.

შეკრების დროს კომკავშირის ორგანიზაციის უმთავრეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს ცვალებადელების მიერ სამხედრო უწყებაში დისციპლინის მნიშვნელობის შეგნების საქმეს.

დისციპლინის მნიშვნელობა უნდა იქნეს ცვალებადელების მიერ შეთვისებული არა ნაკლებ შეთვისებისა ძირად წოლ-არმიელების მიერ. ცვალებადელ ახკომკავშირელმა დისციპლინის მხრივ მუდამ მაგალითი უნდა უჩვენოს დანარჩენ წითელ-არმიელებს.

ყოველმა კომკავშირელმა უნდა შეითვისოს, რომ საბჭოდრო სამსახური არის როგორც სამოქალაქო, ისე კომკავშირული მოვალეობა, რის გამო კომკავშირული სამხედრო მოზადების საქმეში არის პასუხისმგებელი მთელ ახ. ლ. კომკავშირის ორგანიზაციის წინაშე. კომკავშირელი ამის გამო პირველი უნდა იყოს დისციპლინაში, სროლაში, მწყობრში და სხვა.

კომკავშირელების ლენინურად აღზრდის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური სკოლებში მეცადინეობას.

სოფლად მუშობის საკითხის შესწავლა ტერ-შეკრების დროს.

შეკრების განმავლობაში დროს სიმცირის გამო შეუძლებელია კომკავშირელ-ცვალებადელების გატარება პოლიტსკოლებში, რის გამო უდიდეს ყურადღება უნდა მიექცეს პარტიის მე-XIV პარტკონფერენციის რეზოლიუციების შესწავლის საქმეს, რაც მუშობის გეგმაში უნდა იქნეს შეტანილი. ეს შესწავლა აქამდინ უმთავრეს შემთხვევაში ხდებოდა საერთო კრებაზე მოხსენებების გაკეთების წესით, რასაც სასურველი ნაყოფი ვერ მოჰქონდა. პარტკონფერენციის რეზოლიუციების შესწავლა და დამუშავება უნდა სწარმოებდეს კომკავშირის წევრებისაგან 3—5 კაცისაგან შემდგარ პატარა ჯგუფებში. შესწავლის შემდეგ გამოცდილ ხელმძღვანელის მიერ უნდა მოხდეს კითხვა-პასუხის წესით შეთვისების დასინჯვა.

განსაკუთრებით უნდა იქნეს შესწავლილი რეზოლიუციების ის მუხლები, რომლებიც ეხება სოფლად მუშობის და კომკავშირის საკითხებს.

აღნიშნულ რეზოლიუციებში პარტადმშენებლობის შესახებ ერთ-ერთ მუხლში ვკითხულობთ: „სოფლის პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის კომკავშირის აქტივის პოლიტიკური აღზრდას და საქმიან მომზადებას. ამასთანავე საჭიროა კომკავშირის პოლიტიკურად მომზადებული ნაწილის ჩაბმა პარტიაში“.

სწორედ ჩვენ წითელ არმიის ნაწილებში არის შეკმნილი საუცხოო პირობები ამ მუხლის ცხოვრებაში გატარებისათვის. წითელ არ იაში მყოფი კომკავშირელი არა მარტო აღიზარდება პოლიტიკურად, ითვისებს პოლიტიკურ თეორიტიულ საგნებს, არამედ ის არის აქვე ნაწილში ჩაბმული ყოველგვარ აქტიურ მუშაობაში და სწორედ ასეთი დამუშავების შემდეგ სოფელი მიიღებს შეგნებულ და საქმიან მომუშავეებს.

ცვალებადელების შესახებ საკითხი უფრო რთულდება, უკანასკნელების წითელ არმიაში შეკრებაზე მოკლე ხნით გაწვევის გამო. ამის გამო შემოღებულია წესი, რომლის მიხედვით ცვალებადელ კომკავშირელებს მიეცემოდ შეკრების შემდეგ დახასიათებები მათ მიერ კომკავშირის ჯგუფებში წარმოებულ მუშაობის შესახებ. ყოველმა ცვალებადელ კომკავშირელმა უნდა ეცადოს, რომ ამ დახასიათებით მან გამართლოს ყველა ის იმედები, რომლებიც მასზე იყო დამყარებული ადგილობრივ პარტიულ დაჯგუფებაში კომკავშირის ორგანიზაციის მიერ.

მუშობა უპარტიო წითელ არმიელებში.

ყოველი ზემოაღნიშნული ეხებოდა მუშობას კომკავშირში, მხოლოდ რაც შეეხება მუშობას უპარტიო წითელ-არმიელთა მასების შორის, აქ ამოცანები არა ნაკლებ მნიშვნელოვანია.

შეკრების პირველ დღიდანვე უნდა მოეწყოს კომკავშირის კრებები, საღამოები უპარტიო ფართე მასებ ის თანდასწრებით. იმ მიზნით რომ უპარტიო გლეხი ცვალებადელნი დაინტერესდნენ ასეთ კრებებით, კრებების დღის წესრიგის, შინაარსის გაღრმავება და პრაქტიკული სახის მიცემა მიადწევს სწორეთ ამ მიზანს.

კომკავშირის მუშობის კუთხე უნდა არსებობდეს ყველა კედლის გაზეთებში, ამ მუშობაში როგორც კომკავშირელების ისე უპარტიო წითელ არმიელების ჩაბმით.

ახლო ხანებში წავლენ გრძელ ვადიან შვებულებაში არა მარტო ცვალებადელნი, არამედ ძირეთ შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილიც. ბევრნი ამთგანი მოკიდებენ ხელს აქტიურ მუშობას სოფლად. ამისთვის შეკრების დამთავრებამდის რამოდენიმე დღის წინ უნდა ჩატარდეს მეცადინეობა, ახკომკავშირის წევრებთან შეკრების გარეშე საბჭდრო-პოლიტიკური მუშობის გეგმის დამუშავებით.

კომკავშირის ორგანიზაცია არის კომპარტიის რეზერვი და სწორეთ ნაწილების პარტუჯრედის ხელმძღვანელობის ქვეშ იქნება უზრუნველყოფილი კომკავშირის ორგანიზაციების წარჩინებითი მუშაობა, როგორც ტერშეკრების დროს, ისედაც შეკრების გარეშედაც.

ივ. რუდვსკი.

ტერ-შეკრებაზე ერთსულოვნად მოდიან.

ტერ-არმიელები მოდიან.

2-რე საარტილერიო ლეგიონი.

ლეგიონში უკვე დაიწყო ლოდ ერთი გარემოება. ტერარმიელების მოსვლა. ყველა დიდი აღფრთოვანებით ცხადდებიან ნაწილში. ოდნავ სინანულსაც ვერ ამოიკითხავთ მოსულების სახეზე. ლეგიონის კლუბი დიდ სამზადისშია, რომელიც ამ ახლო მომავალში აპირებს დიდი შესახვედრი საღამოს მოწყობას. კომისია უკვე დაინიშნა და შეუდგა მუშაობას.

ამჟამად ხელს გვიშლის მხ-ბანაკში სადაც ამ ჟამად ვიმყოფებით გაყვანილია ხაზები ელექტრო სინათლისათვის, მაგრამ სამწუხაროდ სინათლე ჯერ კიდევ არსად სჩანს, რაც მეტად გვიშლის ხელს მუშაობაში. იმედია სათანადო ყურადღება მიექცევა ამ გარემოებას ვისგანაც ჯერ არს და გაგვინათებენ ბანაკს.

ა. კ.

ტერშეკრება ჩვენთან.

6-სე ტერლეგიონი.

ლეგიონის მთელი შემადგენლობა გაფაციცებით ემზადებოდა საერთო ტერშეკრებისათვის. ყველას უხაროდა ოთხი სექტემბრის მოახლოება, როდესაც შეუდგებოდით ამდენი ხნის სამზადისის სრულიად მოყვანას. ყველამ იცოდა, რომ ამ დღეს ჩვენთან უნდა მოსულიყვენ ძვირფასი სტუმრები (ტერარმიელები) რომლებიც ჩვენთან დარჩებიან ერთი თვით.

დღის 7 საათიდან თანდათანობით ივსება ჩვენი ყაზარმის ეზო. დღეს ველით დუშეთიდან მე-3 ასეულს, ლიუბლინ-ბურგიდან 6 ასეულს, თელავიდან მე-3 ათასეულს.

ლეგთავი და სამხკომი გაემართნ მე-3 ათასეულის შესახვედრად ნავთლუღში.

მოვიდნენ მე 3 და მე 6 სე ასეულები, რომლებიც ცოტა შესვენების შემდეგ გაგზავნენ ბანაკში. დღის 11 საათია ბანაკი საუცხოოთ არის მოწყობილი ახალი სტუმრების მისაღებათ. ვხედავთ მოდის მე 3 ათასეული მუსიკით. ყველანი კარვების წინ ვგროვდებით და უყურებთ ათასეულის ბანაკში შემოსვლას რომელსაც „ვაშას და „გაუმარჯოს“ ძახილით შეეგებენთ.

ლეგიონში საერთო შეკრებაზე გამოცხადებულია 100 პროც. რაც დამტკიცებელია იმის, რომ ჩვენ მშრომელ ახალგაზრდობას მტკიცეთ აქვს შეგნებული თუ სად მოდის ის ერთი თვით და ვის ინტერესების დასაცავათ.

ასეთი ხალისით, ასეთი ენტუზიაზმით მშრომელი ახალგაზრდობის გამოცხადება საუკეთესო საწინდარია ჩვენი პირველი ტერ-შეკრების ღირსეულათ ჩატარების.

ამხანაგებო ტერ-არმიელნო! ხელიხელ ჩაკიდებული ვიმუშაოთ საქმიანათ და ამით დაუმტკიცოთ ჩვენს მტრებს და მოყვარეს ჩვენი ძლევამოსილება.

სამხკორი ე—ლი.

საშეფო სოფელში.

მეხუთე ლეგიონი.

30 აგვისტოს ხსენებული ლეგიონის და რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა ახკომკავშირის მიერ, საშეფო სოფლებში გგზავნილი იქნა საშეფო კომისია, რომელსაც უნდა გაეცნო გლეხებისათვის ტერ-შეკრების ამოცანები და დანიშნულება. კომისიამ ეს დავალება პირნათლად შეასრულა.

სოფლებში მისვლისთანავე კომისიის წევრების მიერ მოწვეულ იქნა ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წევრთა გაერთიანებული კრებები გლეხებთან ერთად. კრებებზე კომისიის წევრები დაწვრილებით აცნობდენ 1901 წ. დამბადებულთა ტერშეკრების გარშემო ცირკულიარებს და ეხებოდენ სხვა ადგილობრივ საპრობლეტო საკითხებსაც.

გავაცანთ გლეხებს ყველა ის შეღავათები, რომლითაც სარგებლობენ გაწკეული ტერარმიელები და ვის როგორი შეღავათი ეძლევა მდგომარეობის მიხედვით. ყველა ამან გლეხებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა და შეკითხვა-შეკითხვაზე ეძლეოდენ.

კრებებზე გლეხებს დაწვრილებით გავაცანით აგრეთვე კავშირისა და მასში შემავალ რესპუბლიკების კონსტიტუციების შინაარსი, რითაც ძლიერ ნასიამოვნები დარჩენ ყველანი.

საერთოდ ტერ-ნაწილებში გაწვევას კარგად ეგებება ხალხი და სიამოვნებით ემზადებიან წამოსასვლელად.

ჩვენც შეუდექით საბანაკო ცხოვრებას.

6-სე ტერ-ლეგიონი.

4 სექტემბერს ჩვენი ლეგიონი გადავდა საბანაკოთ იქ სადაც წინეთ იდგა პირველი მსროლელი ლეგიონი. შევაკეთეთ კარვები, დავასუფთავეთ ყველაფერი, გადმოვზიდეთ რაც გვჭირდებოდა და სხვა. ასეულები მოთავსდნენ თავიანთ კარვებში.

თითეულ ასეულთან მოწყობილია ლენკარვები, სადაც მოთავსებულია ლოზუნგები, ბელადების სურათები წიგნები და გაზეთები.

კარვები თავისი მოწყობილობით სრულიად შეეფერება ამა თუ იმ ნაწილის ეროვნულ შემადგენლობას.

გარდა ამისა მოწყობილ იქნა კლუბი და სანიმუშო ლენკარავი ლეგიონის ფარგლებში, სკოლის გარეშე საპროპაგანდო კურსების მსმენელთა ძალებით.

მთელი აქტივი მზად არის, რათა ამ ერთი თვის განმავლობაში ჩვენთან მოსული ამხანაგები მომზადონ ყოველ მხრივ დ. ყველა ასეულს აქვთ თავიანთი ბიბლიოთეკა მოწყობილი, რომლებშიც მოიპოვება ქართული, რუსული, თათრული, სომხური და გერმანული წიგნები, ასე, რომ ერთ-ვნულ უმცირესობის შორის მუშაობას ლეგიონში ჯეროვანი ყურადღება ექცევა. შეიძლება ითქვას რომ ჩვენი აქტივის საშვალებით ჩვენ ერთი თვის შემდეგ შეესძლებთ დაუბრუნებთ სოფლებს გამოწვრთნილ გამობრძმედილ და მომზადებულ მხედრებს.

სამხკორი მ. ვ. ლომმაძე.

კულტ-მუშაობა ჩვენთან.

4-ხე ლეგ. 3. და 7-დე ტაკ. მფრ. ასეულები.

1902 წელში დაბადებულ არმიელების მოსვლის თანავე, ჩვენს ასეულებში ორგანიზაციულათ ჩამოყალიბდა კულტ მუშაობა, ხშირათ ეწყობოდა საღამოები და ინსცენიროვკები, რომლებიც ძლიერ იზიდავდა. ადგილობრივ მცხოვრებთაც. კლუბმა პოლიტ მომუშავეთა ხელმძღვანელობით შესძლო პოლიტმომუშავეთა აქტივისტის წამოწევა, რის გამო ჩვენმა ცალკეულებელებმა, თითქმის გარეშე უფროს ამხანაგების დახმარებისა 25 აგვისტოს მოაწყვეს აგიტ-საგანმანათლებელი საღამო.

საღამოში შედიოდა გასამართლებანი ა) ზარმაცი წით. არმიელის და ბ) „ვოგია უიშვილის.“

იმისთვის რომ უფრო ნათელი ყოფილიყო არმიელებისათვის გასამართლებაში გარკვევა ჯერ ჩატარებულ იქნა „ვოგია უიშვილის ცხოვრებიდან ორ მოქმედებიანი სურათი.

1-ლმა გასამართლებამ მიიღო სერიოზული ხასიათი და ადგილიდან ზიზღით უყურებდენ ამხანაგები, ზარმაც, ამრიდებელ და სხვაზინო ქონების გამფლანგავ წით. არმიელს.

„ვოგია უიშვილის“ გასამართლებაშიც თითქმის ყველამ მიიღო მონაწილეობა. არმიელმა ერთხმად გაამტყუნეს მოთხრობის გმირი, რომელსაც ვერ გამოეჩინა სიმაგრე და ბოლო მოუღო თავის არსებობას.

მანევრებზე.

პირველი საარტილერიო ლეგიონი მანევრებზე.

25 აგვისტოდან დაიწყო შეჯიბრებითი მანევრები 1-ლ ქართულ და 1-ლ რუსულ დივიზიებს შორის, რომელიც დამთავრდა 2 სექტემბრამდე. მანევრებში დიდი გამოცდილება მისცა მონაწილეთა ერთეულებს, როგორც სამხედრო სამწყობრო დარგში, ისე პოლიტიკური დარგშიაც. წითელ მოლაშქრეებმა, რომლებსაც არ ენახათ ამის მსგავსი რამ დაამტკიცეს, რომ ისინი სრულიად მოწყობილნი არიან, როგორც სამხედრო სამწყობრო მოქმედებაში, ისე პოლიტიკურადაც, რომლის დამამტკიცებელ საბუთად უნდა ჩაითვალოს მათი თავდაუჭერელობა მოძრაობის დროს.

იყო შემთხვევა, მოძრაობის დროს წითელ მოლაშქრეებს აგვიანდებოდათ სადილის მიღება, მაგრამ მთელ რიგ სოფლებში გავლის დროს ადგილი არ ქონია, რომ ვისმეს რიმე ზიანი მიეყენებინოს გლეხების ბაღებისათვის.

წითელ არმიელები ერთი მეორეს არიგებდნენ: „ამხანაგო, პოლიტხელმა რომ გამოგვიცხადა—დაგვარიგა, რომ ჩვენ მოგვიხდება გავლა სოფლებში და სინდისიერად მოიქეცითო არ დაგავიწყდეთ, ხელი არა და გრძელი თმა ძალზედ ჩამოსვლოდა თვალებში.

— ასწავლიან მაშა! ჩვენ არც ერთმა არ ვიცოდით და ეხლა ვისწავლეთ გამოეხმაურენ სამი ახალი შემომატებულები, რომლებსაც თოფი თასმით ქონდათ ჩამოკიდებული და წიგნი „სინათლისაკენ“ რგვლად დახვეული ხელში ეჭირათ.

ახლად მოსულს სიხარულის ღიმი გადაეკრა სახეზედ და ჩაილაპარაკა.

— ჰეე, მეც რომ მაშინ მოვსულიყავი ეგების მეც ვისწავლიდი.

— მე ამხანაგო, სწავლაზედ უარი ვსთქვი მაგრამ პოლიტხელმა პასუხის გებში მიგვცემ და ეხლა ბევრი არა, მაგრამ ხელის მოწერას მაინც შევსძლებ და მადლიერიც ვარ, იმ ამხანაგის.

დიდხანს გაგრძელდებოდა ეს ბაასი რომ, არ გაცემულიყო განკარგულება.

— მოეწყვეთ! და დისციპლინაზე აღზრდილი წითელ არმიელები ელვის სისწრაფით ჩამწკრივდენ.

მთვარე კაშკაშით დასცქეროდა დედამიწას, როდესაც არმიელებით სავსე მატარებელი დაიძრა № სადგურიდან.

პირველი ტერ-შეკრებაზე.

(გზა და გზა).

—ოოო, გამარჯობა, გამარჯობა მირო. რამდენი ხანია, რაც ამ, ათასეულში მსახურობ?..

მე მეგონა თუ ევროპაში იყავი წასული ბურჯუაძის ასალებათ...

— აი შე ვერანა შენა.. შენ რომ მოგიკალათებია შენს დედაკაცთან.. აბა ისე ხომ არ გეგონა? აი რომ მხედავ, მე წითელ არმიელი ვარ, მოვედი არაფერი არ ვიცოდი და წავალ უფრო მეტი შეგნებული.

მიესალმა 1901 წ. ახლათ მოსული ტერ-არმიელი ერთ ჯგუფში მყოფ მეზობელს, რომლებიც გამზადებული იყვნენ სამგზავროთ, და ელოდენ მხოლოთ განკარგულებას.

— „თხაზედ ნაკლები თხა მგელმა შესჭამოსო“, დღეიდან ამხანაგო მეც წითელ არმიელი ვარ. ვეცდები, რომ მეც შევავსწავლო ყველაფერი.

— მართლა მიკო, აქ წერაკითხვას ასწავლიანო, მართალია?

შეეკითხა ერთი ახლად მოსული, რომელსაც თავისი ხურჯინი ჯერ კიდევ არ მოეხსნა ფერს ახლოთო. ეს სიტყვებიუნდა გვახსოვდეს და არავითარი ძალით წართმევას—ბოდეში ხილეულობის მოწყვეტას არ უნდა ექნეს ადგილიო“.

მართლაც არ ყოფილა შემთხვევა, რომ წითელ მოლაშქრე ვინმეს უდიერად მოპყრობოდა.

გლეხები გაკვირვებით უცქერდენ წითელ მოლაშქრეების ასეთი სინდისიერ და შეგნებულ მოქცევას. ერთ ერთ სოფლის ბებერმა, სადაც სამი დღე ვიდექით, განაცხადეს, რომ ბორის მაზრაში ხშირი იყო მანევრები ნიკოლოზის მეფობის დროს და იყო ისეთი შემთხვევა, რომ ოთხ ფეხა პირუტყვს ძალით გვართმევდენ, ბადეს ანადგურებდენ და სხ. წითელი ჯარი კი თურმე სულ სხვა ყოფილაო.

გვიხდებოდა სადაც კი შესაძლებელი იყო სოფლებში გაჩერება—გლეხებთან საუბრის ჩატარება სხვა და სხვა თემებზე, წარმოდგენის დადგმა, ქოხ-სამკითხველოების დათვალიერება, სადაც ასეთი არ იყო; გახსნა ასეთის, კედლის გაზეთის გამოშვება. საგლეხო წიგნების დარიგება. უფასოთ და სხვა. გამოირკვა, რომ პარტ-პოლიტ მუშაობა მაზრაში ძლიერ მოიკოჭლებს. მაგალითად ერთერთ სოფელში, რომელიც ასორმოცდა ათი კომლისაგან შესდგება არის ერთი პარტიული და შვიდი საპმოს წევრი, რომელნიც არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ. საერთოდ პროვინციას ეტყობა რომ ხელმძღვანელი არა ყავს. რასაც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს, თორემ ყოველი მუშაობა სოფლად უნაყოფო იქნება.

ერთ ერთ საბჭოს წევრის დაკითხვის დროს გამოირკვა, რომ სამაზრო-სარაიონო ინსტრუქტორები წელიწადში ერთხელ ჩამოდიან.

კარგი იქნებოდა გორის სამაზრო კომიტეტი ასეთ მოვლენებს მიაქცევდეს ჯეროვან ყურადღებას.

სასკოლო მუშაობაში აღსანიშნავია, რომ წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლები არსებულან მხოლოდ ზამორობით, რომელსაც ეხებოდა გლეხობის განსაზღვრული რიცხვი. აქაც საჭიროა მეტი ყურადღება, რომ ისეთ მაზრაში, სადაც უცოდინარეობა აღწევს თითქმის 80 პროც. 1927 წლისათვის შესრულებულ იქნეს პრანათლად უკვდავი ბელადის ანდერძი.

ქოჭოლელელი.

ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲮᲛᲐ.

ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲮᲛᲐ.

ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲮᲛᲐ.

ვერბიული ცხოვრება.

საარტილერიო ლეგ. მუშაობა სალაშქრო პერიოდში.

1-ლი საარტლეგიონი.

სალაშქრო პერიოდისთვის აღნიშნულმა ბიბლიოთეკამ შეიძენა 300 ცალამდე საგლეხო და ლენინის ბიბლიოთეკის პოპულიარული წიგნაკები გლეხებში გასავრცელებლად. ამასთანავე ლეგ. წიგნთსაცავიდან ბიბლიოთეკამ გამოყო რამოდენიმე ათეული საჭირო წიგნებისა. გაკეთებულ იქნა სპეციალურად საპოლიტ-განმანათლებლო დარგის მუშაკთა და წიგნებისათვის აგიტ-ოთხთვალა და 25 აგვისტოს გაველით სამანაკო სადგომიდან.

წინდაწინვე შემუშავებულ გეგმის თანახმად ჩვენი ბიბლიოთეკას უნდა გაეწია გლეხებში აგიტაცია პროპაგანდა საგანმანათლებლო დარგზე. უნდა მოვეწყო კითხვა-საუბრების ჩატარება გლეხებში ვვეწარმოებინა სტატისტიკური ცნობების შეკრება სოფლის ავ-კარგიანობაზე და შინა მუშაობა ლეგ. შემადგენლობასთან.

ლდგიონს მოუხდა გაევლა მთელ რიგ სოფლებში. და თუ შემთხვევა მოგვეცემოდა (დასვენების დროს) მას ვიყენებდით სამუშაოდ. უხსნიდით მშრომელ გლეხობას ქოხ-სამკითხველოს მნიშვნელობას, ვაცნობდით ახალგაზრდობას გაზეთზე მუშაობის წესს. ვატარებდით საუბრებს ჩვენი ჯარის აღმშენებლობაზე, მილიციონურ სისტემაზე. ურიგებდით მათ თფასოდ საჭირო ლიტერატურას და ჟურნალ-გაზეთებს. ამ მხრივ დიდ აღფრთოვანებას იწვევდა გლეხობასა და სოფლის ახალგაზრდობაში გაზ. „წითელ-არმიელი.“ მათ უკვირდათ რომ ჩვენს ჯარსაც თავისი გაზეთი ჰქონია, სადაც თვით წით. არმიელები იღებენ მომაწილეობას.

სულ ჩატარებული იქნა ბიბლიოთეკის მიერ 17 კითხვა—საუბარი გლეხობაში და დარიგებული იქნა 228 წიგნი, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებიც. გაიხსნა 2 სოფელში (ბერძენაულსა და ლუბრუშაში) „1-არტ. ლეგიონის სახელზე ქოხ-სამკითხველო.“ ხელმძღვანელს გავაცანით საბიბლიოთეკო მუშაობის წესი სოფლად. ჩვენი ასეთი საქმიანობით გლეხები დიდათ მადლიერნი დარჩენ და დაავალეს გლეხკორს სათანადო წერილების მოთავსება გაზეთში.

ბიბლიოთეკას მოეპოება 7 სოფლის უტყუარი სტატ-ცნობანი, რომლითაც გვაძლევს საშვალებას სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ მათზე.

ამავე დროს ბიბლიოთეკა აწარმოებდა მუშაობას ლეგ. შემადგენლობაში. დასვენების დროს ატარებდა საუბრებს და ხმამაღალ კითხვებს. ბატარეებში სალაშქრო პერიოდის განმავლობაში წაკითხულ იქნა 123 ეკზემპლიარი წიგნი.

საერთოდ ლაშქრობამ მოგვცა დიდი გამოცდილება საპოზიციო მდგომარეობის დროს საბიბლიოთეკო მუშაობაში.

გრ. ჩ-ჩუა.

ფრონტიდან

ყაზარმიდან სოფელში.

სულ რამოდენიმე დღე კიდევ და ყაზარმიდან უნდა დაუბრუნდეთ ისევ სოფელს, სოფლის მინდვრებს უანებს და ვენახებს. უნდა გავანმეოთ დროებით თავი სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნის მიღებას. უნდა დავადგეთ ისევ ძველ, ნაცად გზას: სოფლელები—გეურნეობას, მუშები—ფაბრიკა-ქარხნებს. უნდა მოვძებნოთ ყველამ ჩვენი კერა, მაგრამ ნუთუ უწინდებურად უნდა ვიმუშაოთ? ნუ თუ ყაზარმაში წელიწად ნახევრის ყოფნამ უქმად უნდა ჩაიიროს? კლუბმა, ბიბლიოთეკამ, სხვა და სხვა პოლიტიკურმა და სამეცნიერო წრეებმა?

რა თქმა უნდა, არა. ჩვენი დაბრუნება სოფელში არ ემგვანება უწინდელი „სალდათი.“ დაბრუნებას. ჩვენ დაუბრუნდებით სოფელს არა „ნასალდათარი“ ნაწამები და მოღლილი, არამედ ნამდვილი მოქალაქეს შეგნებული და მომზადებული მომავალი მუშაობისთვის.

ყაზარმაში გატარებულმა დრომ ჩვენ ამისთვის საკმაოდ გამოგვჩარხა.

წლინახევრის ყაზარმაში ცხოვრებამ ჩვენ მოგვამზადა არა მარტო სამხედრო დარგში, არა მარტო შეიარაღებული ბრძოლისთვის, არამედ გაფართოვა ჩვენი შეგნება და განვითარების დონე.

და თუ ჩვენ აქ მოვედით სრულიად უვიცი და უცოდინარი, დღეს ყოველ ჩვენგანს აქვს საშუალება გიიგოს და შეიგნოს ცხოვრების ყოველი ხვეული, გაარჩიოს ავი კარგი, საგან, და ყოველ მოვლენა-გაბედულად გაუსწოროს თვალი.

ჩვენ ყოველივე ეს მოგვცა ყაზარმამ და ამ საჩუქრით გვისტუმრებს სოფელში, რომ უფრო ძლიერად, უფრო საფუძვლიანად მოვკიდოთ ხელი ჩვენ საქმეს.

მაგრამ ესეც ყაზარმა გვავალებს არ გიიაროს უქმად მისმა შრომამ, რაც გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ ჩვენი ცოდნა გაუზიაროთ ჯერ კიდევ გაუთვითცნობიერებელს ჩვენს სოფლელებს, ჩვენს მეზობლებს.

გვავალოთ და დავაჯეროთ ისინი (მომავალი წითელარმიელები), რომ ყაზარმა ის აღარ არის რაც იყო წინად, რომ აქ ის მოემზადება არა მარტო ომისათვის, არამედ ცხოვრებისთვისაც.

ჩვენ დავალებისთვის საკმაოდ ვემზადებულად ვგრძნობთ თავს, ხოლო რამდენად შევასრულებთ დავალებას, ამას მომავალი გამოწვევები დაამტკიცებს.

წ. არმ. სარტკორი ლ—ო.

უცხოეთის არმიებში.

სპარსეთის შეიარაღებული ძალები.

სპარსეთის არმიის შემადგენლობა მშვიდობიანობის დროს შტატით უდრის 40.000 კაცს. არმია შესდგება 5 დივიზიისაგან.

1. ცენტრალური დივიზია (მოთავსებულია თეირანის ოლქში), რომელშიაც შედიან: ა) გვარდიის ქვეითა ბრიგადა, ბ) არაგის ქვეითა ბრიგადა, გ) ცხენოსანი ბრიგადა და დ) სარტილერიო ბრიგადა.

2. დასავლეთის დივიზია, რომლის შტაბიც მოთავსებულია თავრიზში (აზერბაიჯანი).

3. ჩრდილო დასავლეთის დივიზია, რომლის შტაბიც არის თავრიზში (აზერბაიჯანი).

4. აღმოსავლეთის დივიზია, რომლის შტაბი არის მეშადში (ხორასანი).

5. სამხრეთის დივიზია—ისპაჰანში.

ზემო ჩამოთვლილ ნაწილების გარდა არის კიდევ შემდეგი ცალკე ბრიგადები:

1. ჩრდილოეთის ბრიგადა ტაბით ქ. რეშტში (გილანი).

2. სამხრეთის ბრიგადა—შტაბით შირაზში (ფარს).

3. ცხენოსან—სისტანის ბრიგადა—შტაბით ბურ დეენდში (სისტანი).

თითეული ბრიგადის უფროსად დანიშნულია სარტიპები, დივიზიის უფროსად კი—ემირ-ლიშკერი, რომელიც იმავე დროს არის შესაფერ სამხედრო ოლქის უფროსიც.

სპარსეთის არმიის სათავეში სდგას სერდარ-სეპეხ (რიზა-ხანი), რომელიც იმავე დროს ითვლება სპარსეთის მთელი შეიარაღებული ძალების უფროსად, სამხედრო მინისტრად, პრემიერად, უმაღლეს სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ და ცენტრალურ დივიზიის უფროსად.

სერდარ—სეპეხის ოგორც უმაღლეს სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ითვლება სერდარ—ხამაიუნ (ემირ—ლიშკერი) —ყაზახთა დივიზიის ყოფილი უფროსი, რომელმაც მიიღო განათლება საფრანგეთის სენ-სირის სკოლაში.

სპარსეთის მთავარ შტაბის უფროსად ითვლება ამანულა მირზა, ყოფილი ოფიცერი ყაზახთა ბრიგადის (დაამთავრა კადეტების კორპუსი, სარტილერიო სკოლა და სასწრაფო კურსი რუსეთის გენერალური შტაბის აკადემიის, და აგრეთვე სწავლობდა უმაღლეს აკადემიის კურსებზე საფრანგეთში). სამხედრო სკოლების უფროსად არის ემირ მოვასაგ (დაამთავრა კადეტის კორპუსი რუსეთში წინად მსახურებდა ყაზახთა დივიზიაში).

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ემირ—ლიშკერები (დივიზიის უფროსები) და სარტიპები (ბრიგადის უფროსები), როგორც თვით რიზა ხანიც მსახურებდენ წინად ყაზახთა დივიზიაში, რომელიც შედგენილ იქნა მეფის მთავრობის მიერ სპარსეთში. რუსი სამხედრო ინსტრუქტორებს ეკავთ აქ სათანადო მეთაურთა ადგილები. ჩრდილოეთის ყაზახთა დივიზიასთან დაპირისპირებული იყო სამხრეთის ეროვნულ-მთა ნაწილები, რომლებიც იყენენ ინგლისელების მეთაურობის და გავლენის ქვეშ.

ახალი ამბები.

— **სამხედრო სამეცნიერო წრეების** საყურადღებოთ ცხადდება, რომ მათ შეუძლიანთ ისარგებლონ ა. კ. სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებასთან არსებულიბიბლიოთეკაში მყოფ სამხედრო ლიტერატურით, როგორც წაიღებით, ისე ადგილობრივაც.

— **ოქროს ფულის შესყიდვა.** ფოსტა-ტელ. სახ. კომისარიატის განკარგულებით განახლებულ იქნა ფოსტა-ტელ. დაწესებულებებში მეფის დროინდელი ოქროს ფულის შესყიდვა.

— **აბრეშუმი საზღვარ-გარეთ.** საზოგადოება „აბრეშუმი“ ამზადებს საზღვარ გარედ გასაგზავნათ 25 ათას ფუთ გამხმარ პარკს.

მეცნიერება და ტექნიკა

რა იწვევს ქარიშხალსა და კუდიან ქარებს.

ჰაერის მდინარებას მიწაზე, როგორც ამას ხსნის ამ უკანასკნელად მეცნიერება აქვს, სიოს ხასიათი. დედამიწის საშვალითი და იგივე მიმართულება, სახელდობრ ჩრდილოეთ პოლიუსზე ქარი ქნის საათის ისრის მოძრაობის წინააღმდეგ.

ეგრედ წოდებული ქვიშიანი კუდიანი ქარები ხშირად ამოვარდებიან სახარის უდაბნოებში (აფრიკა), ეგვიპტეში და თავისი ხასიათით წარმოადგენენ უფრო შემეიდროებულ ციკლონს. აქაც ქარის ცენტრში იქმნება ზევით ამავალი ნაკადი, რის გამო ჰაერში ავარდება ქვიშის სვეტი, რომლის სიმაღლე ხშირად 500—1.000 მეტრამდე ადის. ასეთი სვეტი ხშირად 2—3 საათი არის გაჩერებული ჰაერში.

ზღვაზე კუდიანი ქარის წარმოშობა უფრო სხვაგვარად ხდება.

მართალია არის ერთი მიზეზთაგანიც ჰაერის ზევით ამავალი მდინარება, რომელიც იმდენად ძლიერია, რომ ხშირად აიტაცებს ჰაერში აყარება წყალს ძაბრისებური ფორმით.

ასეთი წყლის ქარიშხალს მეცნიერება ხსნის იმ გარემოებით, რომ ერთმანეთს ხვდებიან ჰაერში ალმაცერად ქარების ორი მდინარება, რომლებსაც ერთი და იგივე სიჩქარე აქვთ.

ასეთი ახსნა სრულიად გამორთლებული იქნა ცდების მოხდენით ლაბორატორიებში, რომლის დროს შესძლეს გამოწვევა მსგავსი კუდიანი ქარი.

ასევე წარმოიშობიან „სუსტი კუდიანი ქარებიც, „რომლებიც აიტაცებენ ჰაერში მტვერის სვეტს.

მათი სისუსტე კი გამოწვეულია იმით, რომ ერთმანეთს ხვდებიან უფრო სუსტი სიჩქარით მომდინარე ქარები.

ფრონტიდან

ბაკურიანი.

ბაკურიანი ბანაკი ... ...